საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: შპს ც. თ. ს., ლ. ქ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 03.10.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 084/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ფ. კ.-ს /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ფ. კ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2023 წლის 3 ოქტომბერს საჩივრით მომართა ლ. ქ.-მ, როგორც შპს ც. თ. ს.-ს დირექტორმა და ფიზიკურმა პირმა და მოითხოვა ადვოკატ ფ. კ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორი დაესწრო 2023 წლის 23 და 30 ოქტომბრის საპროცესო კოლეგიის ონლაინ ფორმატით გამართულ სხდომებს, სადაც მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საჩივარს.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის ბიზნეს საქმიანობიდან გამომდინარე და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ადვოკატებს: ფ. კ.-სა და მ. კ.-ს მისი დის - ა. ქ.-ს სანოტარო ბიუროს გვერდით აქვთ ოფისი, 4-5 წელია რაც იცნობს მათ, რომლებსაც დაუახლოვდა 2020 წლის შემდეგ. სამართლებრივი დახმარების მისაღებად, ლ. ქ.-მ, როგორც ფიზიკურმა პირმა და

როგორც შპს ც. თ. ს.-ს(მანამდე - შპს ა. ც.) დირექტორმა, ორივე ადვოკატს გაუფორმა მინდობილობა. ადვოკატები ადგენდნენ სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტებს და სამართლებრივ რჩევებს აძლევდნენ კლიენტს, მათ შორის, მათი რჩევის შესაბამისად, კომპანიაის პარტნიორობიდან გავიდა ხ. ც., რომელიც ადვოკატების კონსულტაციით, შეცვალა ზ. ღ.-მ - მ. და ფ. კ.-ების ახლობელმა. ადვოკატების რჩევის საფუძველზე, კომპანიის 100 პროცენტიანმა წილის მფლობელმა, მ. ბ.-მ, ზ. ღ.-ს საკუთრებაში გადასცა კომპანიის წილის 50 პროცენტი, რომელიც ლ. ქ.-სთან ერთად გახდა კომპანიის თანადირექტორი. ამავდროულად, ადვოკატების რჩევით, ლ. ქ.-მ ზ. ღ.-ს გაუფორმა მინდობილობა, რომლის მიხედვითაც მინდობილ პირს მიენიჭა განუსაზღვრელი უფლებამოსილება კომპანიის ერთპიროვნულად ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისთვის ცნობილი გახდა, რომ ზ. ღ. იჩენდა არაკეთილსინდისიერებას და არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, რის გამოც 2023 წლის 2 აგვისტოს გააუქმა მასზე გაცემული მინდობილობა. აღნიშნული ფაქტი ცნობილი იყო ადვოკატებისთვისაც, ვინაიდან მომჩივანმა იმავე დღეს გააუქმა მათზე გაცემული მინდობილობებიც. მიუხედავად ამისა, ადვოკატებმა ისარგებლეს გაუქმებული მინდობილობით, ხელი შეუწყვეს ზ. ღ.-ს და მათი დახმარებით ზ. ღ.-მ შეძლო გაესხვისებინა კომპანიის საკუთრებაში არსებული 157-ზე მეტი უძრავი ქონება. ზ. ღ.-ის მიერ გასხვისებული ქონებების რეალური ღირებულება გაცილებით მეტია, ვიდრე ეს ნასყიდობის ხელშეკრულებებითაა გათვალისწინებული. მომჩივანის განმარტებით, ადვოკატები დღემდე აგრძელებენ ზ. ღ.-ის დახმარებას და გარდა იმისა, რომ მათ აქვთ ინტერესთა კონფლიქტი, ზ. ღ. ადვოკატების ხელშეწყობით დებს უკანონო გარიგებებს. საჩივრის ავტორის პოზიციით, ზ. ღ.-ის სახელზე გაფორმებული მინდობილობა დღემდე უდიდესი პრობლემაა კომპანიისათვის.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ფ. კ.-მ სატელეფონო კომუნიკაციისას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა: „აყროლებული პირი... არამდგრადი, გაუწონასწორებელი... ღორო... არაადამიანი... პროვოკატორები.... არავინ რომ არ უყვარს... მარტო ფულზე ნუ გაქვთ აქცენტი, თორემ ძაან დიდ ზღართანს მოადენთ... გააჯ*ი გოგო.... იბურდებით თქვენს გველაძუობაში... ფულის თემა გაჩნდება და იჩითებით ორი კორუელი... რჩევას ბოროტებად ჩამითვლით, მე ვმუშაობ ამაზე და არ ვარ გულხელდაკრეფილები... ბოროტია... თავისი ჩასვრილი მოაგვაროს.. ნაძირლებო... ლ.-ს ბრალია ყველაფერი რაც ჭირს და გჭირთ.. თავის ჩასვრილი მოაგვაროს... საკუთარი თავის და სხვისი მტრები.. გაიძვერობას შეეშვით... სანამ რამეს დააყრანტალებთ და უარესად არევთ არეულს, დაფიქრდით.... გამოათრიე ის ბელადონა ერთი გაფუჭების რომ ამღვრევს და ბოროტების მეტი არ გამოსდის არაფერი... არასწორ მხარეს კი არა, აი ორივეს იქიდანაც და აქედანაც დაგმარხავთ ჩემი აგდებისათვის... გადაშენდით, არაადამიანი ხარ... ორი არამდგრადი, გაუწონასწორებელი.. რა ნაგავი ყოფილხართ... რა ქონება აგახიე, მაგ სიმართლით გევლოს მთელი ცხოვრება... ხმა იგდე თავად ნაძირალა, გათახსირებულო, არაადამიანო, დაუნახავებო... აი საქმით სცემ პასუხს, ოღონდ საქმით, დაელოდე, დაელოდეთ...“. მომჩივანის განმარტებით, ადვოკატები მუდმივად ბრალს სდებდნენ, რომ „არ იყო კარგი დირექტორი“, „არასწორი ნაგებობა დაახვედრეს ზ. ღ.-ს“, ლანძღავდნენ, წყევლიდნენ და ემუქრებოდნენ მას.

1.5 მომჩივანმა საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 23 ოქტომბრის დისტანციური ფორმატით გამართულ სხდომაზე იშუამდგომლა მისი დის - ა. ქ.-ს მოწმედ გამოკითხვასა და 23 ოქტომბრის სხდომის გადადების თაობაზე, ვინაიდან არ იყო სხდომისათვის სათანადოდ მომზადებული. შუამდგომლობები დაკმაყოფილდა კოლეგიის მიერ. საჩივრის ავტორთან საპროცესო კოლეგიის სხდომა გადაიდო 30 ოქტომბერს.

2 საჩივრის ავტორის მოწმის - ა. ქ.-ს განმარტება:

მომჩივანის შუამდგომლობის საფუძველზე, საპროცესო კოლეგიამ 2023 წლის 30 ოქტომბერს, ონლაინ ფორმატით გამართულ სხდომაზე, მოწმის სტატუსით გამოკითხა ლ. ქ.-ს და - ა. ქ.. ა. ქ.-მ აღნიშნა, რომ ახორციელებს სანოტარო საქმიანობას და ადვოკატების ფ. და მ. კ.-ების და მისი ოფისი ერთ შენობაში მდებარეობს. ა. ქ.-ს განმარტებით, მისი სანოტარო საქმიანობა სრულიად დამოუკიდებელია მისი დის - ლ. ქ.-ს ბიზნეს საქმიანობისაგან და ორივე მათგანი დამოუკიდებლად ახორციელებს პროფესიულ საქმიანობას, ისე რომ მათ საქმიანობებს ერთმანეთთან კავშირი არ აქვთ. მოწმის განმარტებით, წლების განმავლობაში მასსა და ლ. ქ.-ს საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ მოპასუხე ადვოკატებთან, მათგან იღებდნენ სამართლებრივ რჩევებს და ლ. ქ.-მ საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით, მათ მინდობილობებიც კი გაუფორმა, რის შემდეგაც ადვოკატები საადვოკატო საქმიანობას ახორციელებდნენ ლ. ქ.-სა და შპს ც. თ. ს.-სსასარგებლოდ. მოწმის განმარტებით, ადვოკატების რჩევით, ლ. ქ.-მ საქმიანი ურთიერთობა დაიწყო ზ. ღ.-სთან და მას მიანიჭა კომპანიის წარმომადგენლობაზე ერთპიროვნული უფლებამოსილება. მოწმემ განმარტა, რომ მას შემდეგ, რაც ლ. ქ.-სა და ზ. ღ.-ს შორის გართულდა საქმიანი ურთიერთობა, ადვოკატებმა მხარი დაუჭირეს ზ. ღ.-ს და ეხმარებოდნენ მას კომპანიის სახელით უკანონო გარიგებების დადებაში, რამაც უდიდესი ზიანი მოუტანა კომპანიას. მოწმის განმარტებით, ადვოკატები ხშირად იყვნენ მათი სტუმრები და იცნობდნენ მათი ოჯახის წევრებსაც, თუმცა ზემოთ აღნიშნული მოვლენების შემდეგ, ადვოკატმა ფ. კ.-მ სატელეფონო კომუნიკაციისას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ლ. ქ.-ს, რაც მოწმისთვის ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ლ. ქ.-მ ადვოკატ ფ. კ.-სთან მიმოწერა წააკითხა, ხოლო ადვოკატმა მ. კ.-მ, სატელეფონო საუბრისას გინების ფორმით სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მათ დედას. მოწმის განმარტებით, ორივე ადვოკატი წყევლის, ემუქრება და აშანტაჟებს ლ. ქ.-ს და ადვოკატთა ქცევა არ შეესაბამება ადვოკატის როლსა და სტატუსს.

3. ადვოკატის განმარტება:

3.1 2023 წლის 10 ოქტომბერს ადვოკატმა ფ. კ.-მ, ადვოკატ მ. კ.-სთან ერთად წარმოადგინა ერთობლივი განმარტება, სადაც მიუთითა, რომ ისინი 2020 წლიდან საადვოკატო საქმიანობას ახორციელებენ აფაქიძის ქუჩაზე მდებარე ოფისში. მათი ოფისის გვერდით მდებარეობს ნოტარიუს ა. ქ.-ს სანოტარო ბიურო. ნოტარიუს ა. ქ.-სთან ადვოკატებს ჰქონდათ კოლეგიალური ურთიერთობა. ადვოკატის განმარტებით, მასსა და ადვოკატ მ. კ.-ს არც ა. ქ.-სთვის და არც მისი დის - ლ. ქ.-სათვის არასდროს გაუწევიათ იურიდიული მომსახურება ან საადვოკატო მომსახურება, ვინაიდან თავად ა. ქ. და ლ. ქ. იურისტებს წარმოადგენენ. შესაბამისად, ადვოკატებს მათგან არც ჰონორარი აქვთ მიღებული. ადვოკატების

განმარტებით, 2021 წელს, ნოტარიუსმა ა. ქ.-მ სთხოვათ, პარტნიორთან - პ. ნ.-სთან მოლაპარაკებაში დახმარებოდნენ, ვინაიდან თავად არ ელაპარაკებოდნენ დაძაბული ურთიერთობის გამო. პ. ნ. წარმოადგენდა შპს ც. თ. ს.-ს(მანამდე შპს ს. ც.) 50%-იანი წილის მფლობელის - ხ. ნ.-ის მეუღლეს და კომპანიის თაობაზე გადაწყვეტილებებსაც რეალურად სწორედ ის იღებდა. კომპანიის მეორე ნახევარი იყო ლ. და ა. ქ.-ების დედის - მ. ბ.-ს საკუთრებაში. კომპანიის დირექტორს წარმოადგენდა ლ. ქ., თუმცა კომპანიას რეალურად მართავდა ა. ქ. და სამართლებრივ გადაწყვეტილებებს სწორედ ის იღებდა. ადვოკატები მომჩივანისა და მისი დის სახელით დაუკავშირდნენ პ. ნ.-ს და შეძლეს მოლაპარაკება. ამის შემდეგ, 6 თვის მანძილზე მათ ლ. და ა. ქ.-ებთან კომუნიკაცია საერთოდ არ ჰქონიათ. ადვოკატის განცხადებით, ის და ადვოკატი მ. კ. არ ფლობდნენ ინფორმაციას, რომ ლ. ქ.-მ მათ გაუფორმა მინდობილობა, რაც მარტივად შეეძლო გაეკეთებინა, ვინაიდან ადვოკატებს არაერთხელ მიუღიათ სანოტარო მომსახურება ნოტარიუს ა. ქ.-საგან. ადვოკატებს აღნიშნული მინდობილობები არასოდეს გამოუყენებიათ და მომჩივანის მიერ მითითებული ფაქტები ემსახურება მათი დისკრედიტაციის მიზანს.

3.2 ადვოკატის განმარტებით, 2022 წლის შემოდგომაზე მისი და მისი დის ოფისში მივიდა განერვიულებული ა. ქ., მიაწოდა მათ ინფორმაცია, რომ პარტნიორთან კვლავ დაეძაბა ურთიერთობა, ჰქონდათ უამრავი ვალი და სთხოვდათ დახმარებას, წინააღმდეგ შემთხვევაში „მე-6 სართულის ფანჯრიდან გადახტომით“ იმუქრებოდა. ადვოკატის განმარტებით, მათ ანგარიში გაუწიეს აღელვებულ ა. ქ.-ს, ვინაიდან მასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ და იცნობდნენ როგორც მის დას, ისე მისი ოჯახის წევრებს. ნოტარიუსმა ა. ქ.-მ უამბოთ, რომ მშენებლობის ნებართვას ვადა ჰქონდა გასული, ბანკში კი ერიცხებოდათ ჯარიმები, ხოლო პარტნიორი პ. ნ. საერთოდ აღარ პასუხობდა მათ ზარებს. ა. ქ.-ს სურდა პ. ნ.-ის ნაცვლად კომპანიაში შემოსულიყო სანდრო პარტნიორი. კეთილი ნების საფუძველზე, სწორედ ასეთი პარტნიორის მოძებნაში უნდა დახმარებოდნენ მას მ. და ფ. კ.-ები. ადვოკატების განცხადებით, ისინი უამრავ სამშენებლო კომპანიას დაუკავშირდნენ, თუმცა არავინ ისურვა ქ.-ებთანნ თანამშრომლობა, რის შემდეგაც მიმართეს ზ. ღ.-ს, რომელიც მათი ახლობელი იყო, ეწეოდა სამშენებლო საქმიანობას და გააცნეს არსებული მდგომარეობა. ზ. ღ. დაპირდა დახმარებას და განუცხადა, რომ თუ კომპანიის პარტნიორად არა, თანხით მაინც დაეხმარებოდა ა. და ლ. ქ.-ებს, თუმცა მოგვიანებით, თანხმობა განაცხადა კომპანიის 50%-იანი წილის შესყიდვაზე. ნოტარიუს ა. ქ.-ს თხოვნით, ადვოკატებმა ის დააკავშირეს ზ. ღ.-ს. ნოტარიუსი ა. ქ. თავად ხელმძღვანელობდა კომპანიისა და ზ. ღ.-ს შორის არსებული ყველა დოკუმენტის, მათ შორის მინდობილობების, შედგენა/გაფორმებას და ყველა ასეთი დოკუმენტი გაფორმებულია ა. ქ.-სა და მისი მეგობარი ნოტარიუსის - ნ. ბ.-ს მეშვეობით. ა. ქ.-ს მიერ შედგენილი ხელშეკრულების საფუძველზე და მასთან შეთანხმებით, ზ. ღ.-მ გააგრძელა მშენებლობა და კომპანიის სახელით, ბანკში შეიტანა სოლიდური ფულადი თანხა. ადვოკატების განმარტებით, მათთვის ცნობილია, რომ ორივე დირექტორმა: ლ. ქ.-მ და ზ. ღ.-მ ერთმანეთს გაუფორმეს მინდობილობები, რომლებითაც სარგებლობდნენ უძრავი ქონების შეძენა/გასხვისებისას. ადვოკატის განმარტებით, ვინაიდან კომპანიასა და ლ. ქ.-ს პრობლემები ჰქონდათ საბანკო სექტორთან, ადვოკატი ფ. კ.ც არაერთხელ დახმარებია მათ თანხის დაფარვასა და რესტრუქტურიზაციაში. ადვოკატ ფ. კ.-ს განმარტებით, ზ. ღ.-ს ემსახურება ადვოკატი მ. შ.,

ხოლო კომპანიას - ადვოკატი რ. მ., შესაბამისად, მისი და მისი დის ჩარევა ამ მხრივ საჭირო არც ყოფილა.

3.3 ადვოკატის განმარტებით, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ნოტარიუსმა ა. ქ.-მ მიაწოდათ ინფორმაცია, რომ მასსა და მის დას ურთიერთობა გაუფუჭდათ ზ. ღ.-სთან და სთხოვათ ადვოკატებს დახმარებოდნენ მის მიმართ ზომების მიღებაში, რაზეც ადვოკატებისაგან მიიღეს უარი. ადვოკატ ფ. კ.-ს განმარტებით, მან და ადვოკატმა მ. კ.-მ განუმარტეს საჩივრის ავტორს, რომ ისინი არანაირი ფორმით არ მიიღებდნენ მონაწილეობას ზ. ღ.-ისა და მომჩივანს შორის არსებულ დავაში, რამაც ა. ქ.-ს უკმაყოფილება გამოიწვია.

3.4 ადვოკატის განმარტებით, სიცრუეა, თითქოს ის ან ადვოკატი მ. კ. სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ ლ. ქ.-ს ან ლ. ქ.-ს დედას. პირიქით, თავად მომჩივანი და მისი და გამოირჩევიან აგრესიული დამოკიდებულებით, წყევლიან და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ მათ. ადვოკატების განმარტებით, ასეთი ქცევით განსაკუთრებით გამოირჩევა ნოტარიუსი ა. ქ. და სიმართლეს არ შეესაბამება მოწმის განმარტება, რომლის მიხედვითაც მან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ლ. ქ.-ს და მოწმე ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს კოლეგია. ადვოკატის განცხადებით, ა. ქ.-მ ზ. ღ.-ის მეუღლესაც კი მისწერა შეურაცხმყოფელი შინაარსის ტექსტები: *„დაწყევლილები იყავით, უფალი გაგამწარებთ, არაადამიანები ყოფილხართ, ფარისევლები... ორივე შვილის უბედურება გენახოთ... თქვე თაღლითებო ერთი ბანდა ხართ, დააბრუნოს შენმა ნაბი*ვარმა ქმარმა მორისასი რაც გაიტაცა, თორემ თქვენ ნაბი*ვარ შვილებს ჭიები რომ გიჭამთ, რომ ახვალთ ჩემი და ლ.-ს მო*მული დაგხვდებათ. ხომ ჩაგიძაღლდა პირველი შვილი, მიყვება ის ორიც და ივლი იქ... თქვენთვის ეგ შვილი მიწაში არაფერია.... ფურთხი შენს ცრემლიან სახეს“;* ხოლო თავად ფ. კ.-ს მიწერა: *„უფალმა დაგწყევლოთ, ისე რომ ხორცებს იგლეჯდე.... ჩემი ქონებები დამიბრუნეთ უკან.. ფეხებზე მკიდია ყველა... ძაღლების და კატების დედიკოებო... უფლის წინაშე აგებ პასუხს საკუთარი სულით, შენც და შენი მეორე ვირთხა დაც... უკულმა დაგინთებ სანთლებს, რომელ ტაძარშიც მოვხვდები... შენი დახმარება მოვტ*ან, დაახვიე აქედან, შენ ვის რა უნდა გაუკეთო...“.* ადვოკატი განმარტავს, რომ მომჩივანი და მოწმე ცდილობენ წარმოაჩინონ, თითქოს მიმოწერა შედგა ადვოკატ ფ. კ.-სა და ლ. ქ.-ს შორის და ადვოკატის მიმართ პრეტენზიას აცხადებს ლ. ქ., თუმცა მას სწორედ ა. ქ. წერდა დამამცირებელ ტექსტებს, რომლებზეც ცდილობდა თავშეკავებით ეპასუხა. ადვოკატის განმარტებით, ა. ქ. გამუდმებით ემუქრება და აშანტაჟებს მას და მის დას - ადვოკატ მ. კ.-ს, რის გამოც ადვოკატებმა მიმართეს როგორც ნოტარიუსთა პალატას, ისე გენერალურ ინსპექციას.

3.5 ადვოკატმა ფ. კ.-მ ზეპირი განმარტება წარმოადგინა საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 6 ნოემბრის დისტანციური ფორმატით გამართულ სხდომაზე, სადაც მხარი დაუჭირა მისი და ადვოკატ მ. კ.-ს მიერ წარმოდგენილ ახსნა-განმარტებას.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 ადვოკატი ფ. კ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია – საერთო; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება; ბავშვთა უფლებები.

4.2 ლ. ქ.-მ, როგორც შპს ც. თ. ს.-სდირექტორმა და როგორც ფიზიკურმა პირმა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2023 წლის 3 ოქტომბერს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2022-2023 წლებში. შესაბამისად, არ არის გასული მის მიერ სადავო ქმედების ჩადენიდან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიისათვის მომართვამდე დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

5. შემაჯამებელი დასკვნა:

ადვოკატ ფ. კ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30.1 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 საჩივრის მიხედვით, პრეტენზია ადვოკატ ფ. კ.-ს მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ფ. კ.-მ შეწყვიტა საჩივრის ავტორისათვის და შპს ც. თ. ს.-სთვის საადვოკატო მომსახურების გაწევა, თუმცა, ის კვლავ უწევს საადვოკატო მომსახურებას კომპანიასთან დავაში მყოფ მეორე დირექტორს - ზ. ღ.-ს, რომელიც მოქმედებს კომპანიის ინტერესების საწინააღმდეგოდ; ბოროტად იყენებს კომპანიის მიერ მასზე გაცემულ მინდობილობას და ეხმარება მას უკანონო გარიგებების დადებაში. ადვოკატმა ფ. კ.-მ სატელეფონო კომუნიკაციისას პირადად მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ემუქრებოდა და აშანტაჟებდა მას: „აყროლებული პირი... არამდგრადი, გაუწონასწორებელი... ღორო... არაადამიანი... პროვოკატორები.... არავინ რომ არ უყვარს... მარტო ფულზე ნუ გაქვთ აქცენტი, თორემ ძაან დიდ ზღართანს მოადენთ... გააჯ*ი გოგო.... იბურდებით თქვენს გველაძუობაში... ფულის თემა გაჩნდება და იჩითებით ორი კორუელი... რჩევას ბოროტებად ჩამითვლით, მე ვმუშაობ ამაზე და არ ვარ გულხელდაკრეფილები... ბოროტია... თავისი ჩასვრილი მოაგვაროს.. ნაძირლებო... ლ.-ს ბრალია ყველაფერი რაც ჭირს და გჭირთ.. თავის ჩასვრილი მოაგვაროს... საკუთარი თავის და სხვისი მტრები.. გაიძვერობას შეეშვით... სანამ რამეს დააყრანტალებთ და უარესად არევთ არეულს, დაფიქრდით.... გამოათრიე ის ბელადონა ერთი გაფუჭების რომ ამღვრევს და ბოროტების მეტი არ გამოსდის არაფერი... არასწორ მხარეს კი არა, აი ორივეს იქიდანაც და აქედანაც დაგმარხავთ ჩემი აგდებისათვის... გადაშენდით, არაადამიანი ხარ... ორი არამდგრადი, გაუწონასწორებელი.. რა ნაგავი ყოფილხართ... რა ქონება აგახიე, მაგ სიმართლით გევლოს მთელი ცხოვრება... ხმა იგდე თავად ნაძირალა, გათახსირებულო, არაადამიანო, დაუნახავებო...“.

6.2 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი სადავო ფაქტების შეფასებამდე, აუცილებელია დადგინდეს, მომჩივანსა და ადვოკატს შორის არსებობდა თუ არა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა.

6.3 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა მოპასუხე ადვოკატის პოზიციაზე, რომლის მიხედვითაც, მას საადვოკატო მომსახურება არასდროს გაუწევია მომჩივანისათვის და შესაბამისად, ის არ წარმოადგენდა შპს ც. თ. ს.-ს და ლ. ქ.-ს ადვოკატს.

6.4 დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი საქმის მასალებით დგინდება, რომ ადვოკატებს: ფ. კ.-სა და მ. კ.-ს, ლ. ქ.-მ, როგორც ფიზიკურმა პირმა 03.08.21 წელს სანოტარო წესით გაუფორმა მინდობილობა N. საჩივრის ავტორმა, როგორც შპს ც. თ. ს.-სდირექტორმა ადვოკატებს: ფ. და მ. კ.-ებს, 02.03.22 წელს სანოტარო წესით გაუფორმა მინდობილობა. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასადასტურებლად, საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიაში დამატებით წარმოადგინა ადვოკატისათვის გაგზავნილი შეტყობინებები და ელექტრონული ფოსტის მიმოწერა, საიდანაც დგინდება, რომ მომჩივანი და ადვოკატები ერთმანეთს უგზავნიდნენ სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტებს (მათ შორის: უძრავი ქონების წილის ნასყიდობის ხელშეკრულება, ინვოისები, შესაგებელი, მშენებლობის ნებართვა და სხვა) და ადვოკატები ეხმარებოდნენ მომჩივანს სამართლებრივი პრობლემების მოგვარებაში. აღნიშნული მტკიცებულებების ერთობლიობის გათვალისწინებით, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა სახეზეა. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიამ საჩივარში მითითებული სადავო ფაქტები შეაფასა ეთიკის კომისიის უფლებამოსილებისა და კომპეტენციის ფარგლებში.

6.5 ადვოკატ ფ. კ.-ს მიერ ყოფილი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარისათვის საადვოკატო მომსახურების გაწევისა და ადვოკატის მიერ უკანონო მოქმედებების განხორციელების პრეტენზიებთან დაკავშირებით, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.1 მუხლი: „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი: „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 6.4 მუხლი: „ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე წარმოიშობა საქმის წარმოების პროცესში“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 6.6 მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე“.

6.6 ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვა უნდა განახორციელოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული საშუალებებით და მიზნად არ უნდა ისახავდეს კლიენტისათვის სასურველი შედეგის არაკანონიერი საშუალებების გამოყენების გზით მიღწევას, ისეთ შემთხვევაშიც კი, თუ ადვოკატის მიერ არაკანონიერი საშუალებების გამოყენებას თავად კლიენტი ითხოვს (ეთიკის კომისიის 07.03.2011 წლის გადაწყვეტილება. დისციპლინური საქმე N057/10; ეთიკის კომისიის 03.04.2014 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N144/13).

6.7 ინტერესთა კონფლიქტი მოიცავს ყველა იმ უპირატესობასა და სარგებელს, რომლის მიღებაც ან დაცვა სურს პირს, რაც დაკავშირებულია პირად ან საქმიან ურთიერთობებთან, ფინანსურ ან ქონებრივ ინტერესებთან. ინტერესთა კონფლიქტის დროს მნიშვნელოვანია ის საფრთხე, რაც გულისხმობს კლიენტის წარმომადგენლობაზე საზიანო ზეგავლენას. ასეთი ზეგავლენა შესაძლოა გამოწვეული იყოს თავად ადვოკატის პირადი ინტერესების ან ადვოკატის მიერ სხვა კლიენტების/მესამე პირების წინაშე ნაკისრი ვალდებულებებისგან. ინტერესთა კონფლიქტს ადგილი აქვს მაშინ, როცა ადვოკატს არ შეუძლია ერთგულად დაიცვას კლიენტის საუკეთესო ინტერესები, იმის გამო, რომ მან სხვა პირების წინაშე იკისრა ისეთი პროფესიული ვალდებულებების შესრულება, რაც ეწინააღმდეგება მისი კლიენტის ან ყოფილი კლიენტის ინტერესებს. თუ ადვოკატი საქმისწარმოების პროცესში აღმოაჩენს, რომ მის კლიენტებს (მათ შორის, ყოფილ და ახალ კლიენტს) შორის იმავე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეებთან მიმართებით წარმოეშვათ ინტერესთა კონფლიქტი, პროფესიული ეთიკის კოდექსი ავალდებულებს მას, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს კლიენტის(ები)სთვის საადვოკატო მომსახურების გაწევა (სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის (შემდეგში - „ეთიკის კომისია“) 24.01.2011 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N015/10; ეთიკის კომისიის 18.02.2019 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N164/18; ეთიკის კომისიის 30.06.2020 წლის წერილობითი რეკომენდაცია N003/20).

6.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ფ. კ. დღემდე უწევს საადვოკატო მომსახურებას მის ყოფილ ბიზნეს პარტნიორს - ზ. ღ.-ს და ეხმარება მას უკანონო გარიგებების დადებაში, ისეთ საქმეში, რომელთან დაკავშირებითაც ადრე საადვოკატო მომსახურებას უწევდა ლ. ქ.-ს და კომპანია ც. თ. ს.-ს. ადვოკატი არ დაეთანხმა მომჩივანის პოზიციას და განმარტა, რომ ის არ წარმოადგენს კომპანიის, ლ. ქ.-ს ან ზ. ღ.-ის ადვოკატს და საჩივარი მიმართულია მისი დისკრედიტაციისაკენ, ვინაიდან, მან ა. ქ.-ს უარი უთხრა ზ. ღ.-ის მიმართ საქმისწარმოებაზე. ადვოკატმა დააზუსტა, რომ კომპანიისა და ზ. ღ.-ის ინტერესებს წარმოადგენენ და წარმოადგენდნენ ადვოკატები: მედეა შალამბერიძე და როინ მიგრიაული, შესაბამისად, ზ. ღ.-ის ან კომპანიის მხრიდან მისი ან მისი დის - ადვოკატ მ. კ.-ს საქმეში ჩართვა არასდროს მომხდარა და არც საჭირო გამხდარა. მინდობილობების ბოროტად გამოყენებისა და უკანონო გარიგებების დადების სადავო ფაქტებზე ადვოკატმა განმარტა, რომ სადავო ფაქტებთან დაკავშირებით მას არასდროს გამოუყენებია ლ. ქ.-ს მიერ გაცემული მინდობილობები და მას საერთოდ არ ჰქონდა ინფორმაცია, ამ მინდობილობების არსებობის შესახებ.

6.9 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ყველა მხარემ უნდა ამტკიცოს ის გარემოება, რომლის დამტკიცებაც მისი შესაძლებლობების ფარგლებს არ სცდება. მხარეს არ შეიძლება დაეკისროს უარყოფის მტკიცების ტვირთი, რაც, ობიექტურად, მისთვის შეუძლებელია. „მტკიცების

ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის მიხედვით, მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.06.2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე Nას-1294-1214- 2015). შესაბამისად, ვინაიდან საჩივრის ავტორს - ლ. ქ.-ს გააჩნია პრეტენზია ადვოკატის მიერ ყოფილი კლიენტის საწინააღმდეგო მოქმედებასა და პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უკანონო საშუალებების გამოყენებაზე, სადავო ფაქტების მტკიცების ტვირთი სწორედ მას ეკისრება. შესაბამისად, საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიაში უნდა წარმოადგინოს ისეთი მტკიცებულებები, რაც კომისიას დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაარწმუნებს მოპასუხე ადვოკატის მიერ სადავო ფაქტების ჩადენაში.

6.10 სადავო ფაქტების დასადასტურებლად, საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ადვოკატ ფ. კ.-სათვის როგორც საკუთარი, ისე კომპანიის სახელით გაფორმებული მინდობილობები (03.08.21 წლის; 02.03.22 წლის სანოტარო აქტები); მის მიერ 20.12.22 წელს ზ. ღ.-ისთვის სანოტარო წესით გაფორმებული მინდობილობა; მის მიერ აღნიშნული მინდობილობების გაუქმების დამადასტურებელი სანოტარო აქტები; საჯარო რეესტრის 2018, 2022 და 2023 წლების ამონაწერები; ელექტრონული ფოსტისა და სოციალური პლატფორმის საშუალებით განხორციელებული მიმოწერა. საჩივრის ავტორმა საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად ეთიკის კომისიაში მოწმის სტატუსით წარმოადგინა მისი და - ა. ქ., რომელმაც დაადასტურა, საჩივრის ავტორის მიერ ეთიკის კომისიისათვის მიწოდებული ინფორმაცია.

6.11 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საპროცესო ეტაპზე მტკიცების სტანდარტი უფრო დაბალია, ვიდრე განხილვის ეტაპზე. საპროცესო ეტაპზე ფაქტების დადგენა არ ხდება, თუმცა დისციპლინური დევნის აღძვრის ან აღძვრაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას კოლეგია ხელმძღვანელობს მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულებათა შესწავლის საფუძველზე და სადავო ფაქტებს განიხილავს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით. მაშინ როდესაც, მხარეთა ახსნაგანმარტებები ურთიერთგამომრიცხავია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სადავო ფაქტთან შემხებლობის მქონე სხვა მტკიცებულებებს. „დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული დისციპლინური საქმის წარმოების მასალების მიხედვით დააკმაყოფილებდა ნეიტრალურ მეთვალყურეს, რათა დაესკვნა დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენა“ (სუსგ დს/შ10-13, 16.10.2013).

6.12 საპროცესო კოლეგიამ სრულად გამოიკვლია მხარეთა განმარტებები, მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და საჭიროდ მიიჩნევს ყურადღება მიაქციოს რამდენიმე გარემოებას: სადავო ფაქტების დასადასტურებლად, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ საჩივრის ავტორმა, როგორც ფიზიკურმა პირმა და კომპანიის დირექტორმა ადვოკატებს: ფ. კ.-სა და მ. კ.-ს გაუფორმა მინდობილობა, რაც ადვოკატებს ანიჭებდათ უფლებამოსილებას, კლიენტის სახელით განეხორციელებინათ გარკვეული საპროცესო მოქმედებები. ამასთან, 20.12.22 წლის N წლის სანოტარო წესით გაფორმებული მინდობილობით, ლ. ქ.-მ, როგორც კომპანიის დირექტორმა, ზ. ღ.-ს მიანიჭა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. მტკიცებულებებით დგინდება, რომ 2023 წელს, ლ.

ქ.-მ სანოტარო წესით გააუქმა მის მიერ ფ. და მ. კ.-ებისთვის გაფორმებული მინდობილობები. ელექტრონულ ფოსტასა და სოციალურ პლატფორმაზე განხორციელებული მიმოწერით დასტურდება, რომ მომჩივანი და ადვოკატები: ფ. კ. და მ. კ. ერთმანეთს უგზავნიდნენ სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტებს. ელექტრონული ფოსტის მიმოწერით ასევე დგინდება, რომ ადვოკატმა მირანდა შალამბერიძემ კომპანიის წესდება გაუგზავნა ლ. ქ.-სა და ადვოკატ ფ. კ.-ს; სოციალური პლატფორმის მიმოწერით დასტურდება, რომ საჩივრის ავტორი სამართლებრივ საკითხებზე ესაუბრებოდა ადვოკატ ფ. კ.-ს, რომელიც ეხმარებოდა გარკვეული სამართლებრივი საკითხების მოგვარებაში. საპროცესო კოლეგიის შეფასებით, მტკიცებულებების საფუძველზე დგინდება მომჩივანსა და ადვოკატებს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის არსებობა და ფაქტი, რომ გარკვეულ ეტაპზე, ადვოკატი ფ. კ. ჩართული იყო კომპანიასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების წარმოებაში. მიუხედავად ამისა, გარდა მოწმე ა. ქ.-ს განმარტებისა, რომელიც არის საჩივრის ავტორის და, დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები არ მიუთითებენ ფაქტზე, რომ ადვოკატი ფ. კ. წარმოადგენდა ან წარმოადგენს ზ. ღ.-ის ადვოკატს და შპს ც. თ. ს.-ს ან/და ლ. ქ.-ს საწინააღმდეგოდ საადვოკატო მომსახურებას უწევდა/უწევს მას.

6.13 ადვოკატის მიერ ზ. ღ.-ის სასარგებლოდ უკანონო გარიგებების გაფორმებაზე საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ეთიკის კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს ადვოკატთან დაკავშირებულ პრეტენზიებზე მხოლოდ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ფარგლებში და სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებების კანონიერების შეფასება არ წარმოადგენს კომისიის კომპეტენციას. რაც შეეხება, ადვოკატ ფ. კ.-ს მიერ, ლ. ქ.-ს ან/და კომპანიის საწინააღმდეგოდ, ლ. ქ.-ს მიერ გაფორმებული მინდობილობებით სარგებლობასა და ზ. ღ.-ისათვის უკანონო გარიგებების დადებაში ხელშეწყობას, კომისიაში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდება, რომ ადვოკატი ფ. კ. პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას იყენებდა ისეთ საშუალებებს, რომლებიც აკრძალულია კანონით, მათ შორის, უკანონოდ გამოიყენა გაუქმებული მინდობილობები ან/და ეხმარებოდა ზ. ღ.-ს უკანონო მოქმედებების განხორციელებაში.

6.14 შედეგად, ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის საფუძველზე, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით არ დგინდება ადვოკატ ფ. კ.-ს მიერ ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი ნორმებისა და კანონიერი საშუალებებით წარმომადგენლობის ვალდებულებების შესაძლო დარღვევა („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.1 მუხლი; პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5, 6.4 და 6.6 მუხლები).

6.15 ეთიკის კომისიამ განიხილა საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომლის მიხედვითაც, ადვოკატმა ფ. კ.-მ სატელეფონო კომუნიკაციისას პირადად მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ემუქრებოდა და აშანტაჟებდა მას: „აყროლებული პირი... არამდგრადი, გაუწონასწორებელი... ღორო... არაადამიანი... პროვოკატორები.... არავინ რომ არ უყვარს... მარტო ფულზე ნუ გაქვთ აქცენტი, თორემ ძაან დიდ ზღართანს მოადენთ... გააჯ*ი გოგო.... იბურდებით თქვენს გველაძუობაში... ფულის თემა გაჩნდება და იჩითებით ორი კორუელი... რჩევას ბოროტებად ჩამითვლით, მე ვმუშაობ ამაზე და არ ვარ გულხელდაკრეფილები... ბოროტია... თავისი

ჩასვრილი მოაგვაროს.. ნაძირლებო... ლ.-ს ბრალია ყველაფერი რაც ჭირს და გჭირთ.. თავის ჩასვრილი მოაგვაროს... საკუთარი თავის და სხვისი მტრები.. გაიძვერობას შეეშვით... სანამ რამეს დააყრანტალებთ და უარესად არევთ არეულს, დაფიქრდით.... გამოათრიე ის ბელადონა ერთი გაფუჭების რომ ამღვრევს და ბოროტების მეტი არ გამოსდის არაფერი... არასწორ მხარეს კი არა, აი ორივეს იქიდანაც და აქედანაც დაგმარხავთ ჩემი აგდებისათვის... გადაშენდით, არაადამიანი ხარ... ორი არამდგრადი, გაუწონასწორებელი.. რა ნაგავი ყოფილხართ... რა ქონება აგახიე, მაგ სიმართლით გევლოს მთელი ცხოვრება... ხმა იგდე თავად ნაძირალა, გათახსირებულო, არაადამიანო, დაუნახავებო...“.

6.16 ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების პრეტენზიაზე, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი: „კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა“.

6.17 ადვოკატის მოქმედება შეზღუდულია კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. შესაბამისად, ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კანონითა და ეთიკის კოდექსის სტანდარტებით, რომ მისი პროფესიისადმი ნდობას საფრთხე არ შეექმნას საზოგადოებაში (ეთიკის კომისიის 23.08.2010 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N057/10).

6.18 საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად, საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიაში მოწმის სტატუსით წარმოადგინა მისი და - ა. ქ., რომელმაც განმარტა, რომ ადვოკატმა ფ. კ.-მ ტელეფონით კომუნიკაციისას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ლ. ქ.-ს, რაც მისთვის ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ლ. ქ.-მ მას მათი საუბარი წააკითხა. აღნიშნული ფაქტები უარყო ადვოკატმა ფ. კ.-მ და განმარტა, რომ მას ლ. ქ.-სთვის სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებია და თავად ა. ქ. წერდა მას შეურაცხმყოფელი შინაარსის ტექსტებს, რომლებზეც ცდილობდა თავშეკავებით ეპასუხა და ა. ქ.-ს მიერ გამოგზავნილი ტექსტების შინაარსი შემდეგია: „უფალმა დაგწყევლოთ, ისე რომ ხორცებს იგლეჯდე.... ჩემი ქონებები დამიბრუნეთ უკან.. ფეხებზე მკიდია ყველა... ძაღლების და კატების დედიკოებო... უფლის წინაშე აგებ პასუხს საკუთარი სულით, შენც და შენი მეორე ვირთხა დაც... უკუღმა დაგინთებ სანთლებს, რომელ ტაძარშიც მოვხვდები... შენი დახმარება მოვტ*ან, დაახვიე აქედან, შენ ვის რა უნდა გაუკეთო...“. საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად, ადვოკატმა წარმოადგინა მოწმე ა. ქ.-საგან მიღებული მოკლე ტექსტური შეტყობინებები.

6.19 საპროცესო კოლეგია გაეცნო ადვოკატ ფ. კ.-ს მიერ წარმოდგენილ მიმოწერას, რაც ადასტურებს, რომ ა. ქ.-მ ფ. კ.-ს მიწერა მოკლე ტექსტური შეტყობინებები, რომლებიც შეიცავდა გადაწყვეტილების 3.4 და 6.16 პუნქტებში მითითებულ ფრაზეოლოგიას და დგინდება, რომ ადვოკატსა და ა. ქ.-ს შორის მიმდინარეობს დაძაბული დიალოგი. კომისია განმარტავს, რომ მოწმისა და ადვოკატის მიმოწერაში არ მონაწილეობს საჩივრის ავტორი და ადვოკატიც

პასუხობს მხოლოდ ა. ქ.-ს, რაც ეწინააღმდეგება საჩივრის ავტორისა და მოწმის განმარტებას, რომ ადვოკატმა სატელეფონო კომუნიკაციისას ლ. ქ.-ს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, წყევლიდა, ემუქრებოდა და აშანტაჟებდა მას. შესაბამისად, ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება სადავო ფაქტი, რომ ადვოკატმა ფ. კ.-მ, ყოფილ კლიენტს - ლ. ქ.-ს სატელეფონო კომუნიკაციისას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, მათ შორის გადაწყვეტილების 1.4 და 6.13 მუხლებში მითითებული ფრაზეოლოგიის გამოყენებით.

6.20 შედეგად, ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის საფუძველზე, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით არ დგინდება ადვოკატ ფ. კ.-ს მიერ ლ. ქ.-სათვის სატელეფონო კომუნიკაციისას სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის შესაძლო დარღვევა.

6.21 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 40-ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №084/23 ადვოკატ ფ. კ.-ს /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/